ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4140747

ნომერი: AR1624614

თარიღი : 22.08.2018

გაცემის თარიღი : 29.08.2018

გაცნობის თარიღი : 31.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 29;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივანე ფოცხვერაშვილი პ/ნ 01019002735
- ყაზბეგის13

ორგანიზაცია:
- შპს. ყაზბეგი 14 კოდი: 405275562

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება საპროექტო ტერიტორიის შემოსაზღვრა მეტალის მოაჯირითა და მინა-პაკეტის მობილური კონსტრუქციით, სამსახურს მიუღებლად მიაჩნია მსგავსი რეკონსტრუქციის ჩატარება არსებული შენობის ფასადზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მე-4 მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, "მიშენება არის შენობა-ნაგებობის ისეთი რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც საანგარიშო ზედაპირის მხრიდან მთლიანად ან მათ ნაწილზე (მათ შორის, მიწისქვეშა და არასრული სართულის დონეზე), ჰორიზონტალური მიმართულებით ხდება მისი მოცულობით-გეგმარებითი განვითარება (ახალი სამყოფ(ებ)ის, სათავს(ებ)ის, სადგომ(ებ)ის და სხვ. დამატება)".

გაითვალისწინეთ, შესაძლებელია მხოლოდ შენობის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობა, ღია კაფისთვის პოდიუმის და საყვავილეების განთავსება, რომელიც ფერით და სტილისტიკით მისადაგებული იქნება არსებულ შენობასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია შემუშავდეს ახალი ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით). ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში ასევე გაითვალისწინეთ შემდეგი:

საჭიროა ახალი განცხადების შევსებისას "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"–ს ველში მითითებულ იქნას საპროექტო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი (წილობრივი მონაცემებით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ სკამები და მაგიდები არ წარმოადგენს სანებართვო საგანს, თუმცა სამსახურისთვის მისაღებია, შესაბამისად საპროექტო მონტაჟიც და გენგეგმაც უნდა იქნეს წარმოდგენილი მაგიდებისა და სკამების ჩვენების გარეშე.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ/მესაკუთრეებმა ან "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"–ს ველში აიტვირთის მისი/მათი მინდობილობა/რწმუნებულება. საჭიროა "ფოტომონტაჟი"–ს ველში აიტვირთოს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.